სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას ბაზრის კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებით

ბაზრის კვლევის განხორციელების მიზნები

სახელმწიფო შესყიდვის ყოველი კონკრეტული პროცედურის, მათ შორის, ელექტრონული ტენდერის პროცედურების განხორციელებამდე, **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ბაზარზე არსებული მდგომარეობის მოკვლევა – ბაზრის კვლევა.** ბაზრის კვლევის პროცესი უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას შეექმნას მაქსიმალურად სრულყოფილი სურათი **ბაზარზე არსებული შემოთავაზებების, მათ შორის, პოტენციურ მიმწოდებელთა ვინაობის, არეალის, მათი შესაძლებლობების, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების, მიწოდების პირობებისა და ვადების, ასევე შესყიდვის სავარაუდო ღირებულების თაობაზე,** რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ელექტრონული ტენდერის წარმატებით ჩატარებასა და შემსყიდველი ორგანიზაციის და შესაბამისად, მოსახლეობის და მომხმარებელთა ფართო წრეების ინტერესების დაკმაყოფილებას.

შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ყოველი კონკრეტული შესყიდვის განხორციელებამდე, კერძოდ, ყოველი ელექტრონული ტენდერის გამოცხადებამდე, **უნდა განახორციელონ ბაზრის კვლევა სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის, ჯანსაღი კონკურენციის განვითარების, შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით.**

ბაზრის კვლევის განხორციელების დასაბუთება

ბაზრის კვლევის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ ასეთი კვლევა უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ შესყიდვის განხორციელებას. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ **ბაზრის კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს ჯანსაღი კონკურენციის შეზღუდვა და შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის პრინციპების დარღვევა.**

შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს, რომ, კონკრეტული შესყიდვის ობიექტის შესყიდვის მიზნით **ბაზრის კვლევის პროცედურის განხორციელებისას პოტენციურ მიმწოდებლებს წარუდგინოს ერთი და იგივე მოთხოვნა.**

ჩატარებული კვლევების შედეგად გამოკვეთილი ერთგვაროვანი პრობლემების აღმოფხვრისა და მათი პრევენციის მიზნით, **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ[1], სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან[2] თანამშრომლობით, შეიმუშავა გარკვეული რეკომენდაციები**, რომლებიც წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტით. იგი მიზნად ისახავს შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის ბიზნეს-პროცესის იმ ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, რაც ხელს შეუწყობს მათ სწორედ **წარმართონ კონკრეტული ელექტრონული ტენდერის გამოცხადებამდე ბაზრის კვლევის აუცილებელი პროცედურები.**

[1] http://procurement.gov.ge/
[2] https://sao.ge/ka/

ბაზრის კვლევის განხორციელების გზები

<u>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მიმართავს შემსყიდველ ორგანიზაციებს ელექტრონული ტენდერის გამოცხადებამდე, დაიცვან შემდეგი რეკომენდაციები:</u>

- **შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნები,** როგორიცაა, სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომის, თანასწორი მოპყრობისა და სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა;

- **ბაზრის კვლევის განხორციელებამდე შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს თუ რა წარმოადგენს მის კვლევის საგანს:**

  - ✓ შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური და ხარისხობრივი პარამეტრების, სხვა დამატებითი და უფრო დეტალური ინფორმაციის განსაზღვრა/დაზუსტება;
  - ✓ შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენა;
  - ✓ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებისა და პირობების, დანიშნულების ადგილ(ებ)ის, სხვა ლოგისტიკური ასპექტების დადგენა;
  - ✓ შესყიდვის ობიექტის შესაბამისი მიწოდების ბაზრის ნიშან-თვისებების დადგენა;
  - ✓ ბაზარზე არსებული ვითარების დადგენა;
  - ✓ პოტენციური მიმწოდებლების და მათი შესაძლებლობების იდენტიფიცირება, მ.შ. არარეზიდენტი კომპანიების თაობაზე;
  - ✓ შესყიდვის წარმატებით განხორცილებისათვის საჭირო სხვა ფაქტორების შესახებ ინფორმაციის მოძიება.

ბაზრის კვლევის განხორციელების მეთოდები

- **შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ რეკომენდაცია, ბაზრის კვლევა განახორციელონ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მეთოდით მაინც:**

✓ არანაკლებ ორ პოტენციურ მიმწოდებელთან კომუნიკაციით (მათ შორის, პირისპირ, ტელეფონით ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების მეშვეობით) და მათგან საჭირო დოკუმენტაციის (მათ შორის, წერილობითი შეთავაზების, ინვოისის და სხვა) გამოთხოვით;

✓ არანაკლებ ორი პოტენციური მიმწოდებლის მიერ ინტერნეტ სივრცეში განთავსებული ინფორმაციის ანალიზით;

✓ მსგავსი ან იდენტური მახასიათებლების შესყიდვის ობიექტის შესყიდვის მიზნით წარსულში გამოცხადებული[3] არანაკლებ ორი ელექტრონული ტენდერის ანალიზით, რომლის შედეგად დადებული ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს, ან არაუმეტეს 20%-ით აღემატება/ნაკლებია გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის სავარაუდო ღირებულებაზე, ასევე რომელშიც მონაწილეობა მიიღო, არანაკლებ ორმა პრეტენდენტმა და ახალი ელექტრონული ტენდერის გამოცხადებამდე არაუგვიანეს 12 თვით ადრე მიენიჭა სტატუსი – „ხელშეკრულება დადებულია“;

✓ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის[4] სხვა მოდულებში (გარდა ელექტრონულ კატალოგსა[5] ან ელექტრონული სისტემის სატესტო ვერსიაში[6]) განთავსებული ინფორმაციის ანალიზით;

✓ დაქირავებული სპეციალიზებული ექსპერტების/კონსულტანტების მეშვეობით ბაზრის კვლევის განხორციელება; აღნიშნული მეთოდი განსაკუთრებით აქტუალურია რთული, მოცულობითი შესყიდვის შემთხვევაში, როდესაც

[3] სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში - https://tenders.procurement.gov.ge/
[4] https://tenders.procurement.gov.ge/
[5] http://emarket.spa.ge/
[6] http://tenders.gov.ge/dep/login.php?lang=ge

შემსყიდველს არ გააჩნია შიდა ორგანიზაციული რესურსი, ცოდნა ან უნარ-ჩვევები ბაზრის კვლევის დამოუკიდებლად განსახორციელებლად.

- ბაზრის კვლევის შედეგიანად განხორციელებისას, **შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ რეკომენდაცია, შეადგინონ შესაბამისი დოკუმენტი,** რომელიც უნდა შეიცავდეს:

✓ ბაზრის კვლევის განხორციელების თარიღებს;
✓ მითითებას უფლებამოსილი პირის შესახებ და მის ხელმოწერას;
✓ ბაზრის კვლევის შედეგების აღწერას.

აღნიშნული დოკუმენტი, იმის მიხედვით, თუ რომელი მეთოდია გამოყენებული, ასევე უნდა შეიცავდეს:

✓ პოტენციურ მიმწოდებლებთან პირისპირ/სატელეფონო გასაუბრების ოქმს[7];
✓ ელექტრონული ფოსტის საშუალებით განხორციელებულ მიმოწერას;
✓ პოტენციურ მიმწოდებელთა მიერ ინტერნეტ სივრცეში განთავსებული ინფორმაციის ბმულ(ებ)ს, ასევე ეკრანის გამოსახულების ელექტრონულ ასლს[8];
✓ წარსულში ჩატარებული ელექტრონული ტენდერების სატენდერო განცხადების ნომერს[9];
✓ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის მოდულში განთავსებული ინფორმაციის ბმულს ან სისტემის მოდულის კონკრეტული სერვისის/მონაცემის ე.წ. “screenshot”;
✓ იმ შემთხვევაში თუ ბაზრის კვლევა მომზადდა გარე ექსპერტის/კონსულტანტის მიერ, მაშინ ბაზრის კვლევის ამსახველ შესაბამის დოკუმენტში უნდა დაფიქსირდეს ექსპერტის/კონსულტანტის ხელმოწერა.

[7] საუბრის/კონსულტაციების მონაწილეთა თანხმობის შემთხვევაში
[8] კომპიუტერული მონიტორის ე.წ. “screenshot”
[9] სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემიდან - https://tenders.procurement.gov.ge/

ბაზრის კვლევის განხორციელების თაობაზე შექმნილი დოკუმენტი ვალიდურია (იურიდიული ძალის მქონეა) ერთი თვის განმავლობაში. ამ ვადაში ელექტრონული ტენდერის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ რეკომენდაცია, ბაზრის კვლევა განახორციელონ თავიდან. ამავდროულად, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ხსენებული დოკუმენტის შექმნიდან ერთი თვის განმავლობაში ბაზრის კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით ხელმეორედ განახორციელოს ბაზრის კვლევა, იმ პირობით, რომ ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისას შემსყიდველი ორგანიზაცია გაითვალისწინებს დაზუსტებულ ინფორმაციას.

ამასთან, თუ ზემოაღნიშნული მეთოდებით ბაზრის კვლევის განხორციელებისას, **შემსყიდველმა ორგანიზაციამ ვერ მიიღო ის ინფორმაცია, რომლის გარეშეც ვერ გამოცხადდება ელექტრონული ტენდერი,** შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ რეკომენდაცია, შეადგინონ შესაბამისი დოკუმენტი, ბაზრის კვლევის თარიღის, უფლებამოსილი პირისა და მისი ხელმოწერის, აგრეთვე, ბაზრის კვლევის წარუმატებლად განხორციელების შესახებ მითითებით. ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით შექმნილი ზემოაღნიშნული დოკუმენტი უნდა ინახებოდეს შემსყიდველ ორგანიზაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით.

სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა

ბაზრის კვლევის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს **შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა**.

<u>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო შემსყიდველ ორგანიზაციებს მიმართავს შემდეგი რეკომენდაციით:</u>

ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისას, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ბაზრის კვლევის შედეგად მოკვლეული (ადეკვატური, რეალისტური) ფასების საშუალო არითმეტიკულს.

სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში ბაზრის კვლევის შედეგების ასახვა

შემსყიდველ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ, რომ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სხდომის ოქმში, კანონმდებლობით განსაზღვრული წესის დაცვით, პოტენციურ მიმწოდებელთა მაინდენტიფიცირებელი მონაცემების მითითების გარეშე, **ასახონ ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც ცხადდება ელექტრონული ტენდერი.**

ბაზრის კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებული საგამონაკლისო შემთხვევები

შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია წინამდებარე რეკომენდაციების შესაბამისად არ განახორციელოს ბაზრის კვლევა, თუ:

- კონკრეტული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში ნაკლებია 10 000 ლარზე, ხოლო სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – 20 000 ლარზე;
- იმავე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ იდენტური შესყიდვის ობიექტის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ იქნა ელექტრონული ტენდერი, რომლის შედეგად დადებული ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს, ან აღემატება/ნაკლებია გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის სავარაუდო ღირებულებაზე არაუმეტეს 20%-ით, ასევე რომელშიც მონაწილეობა მიიღო სულ მცირე ორმა პრეტენდენტმა მაინც და ახალი ელექტრონული ტენდერის

გამოცხადებამდე არაუადრეს ერთი თვით ადრე მიენიჭა სტატუსი – „ხელშეკრულება დადებულია“;

- ელექტრონული ტენდერი ცხადდება სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში მომზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბაზრის კვლევის მიზანს წარმოადგენს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა.